ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.48220961**

თარიღი:**06/04/2022**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბო არენა"-ს 2022 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 13 იანვრის №48.48220131 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტისა, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ სამგურალის" (ს/კ 421268014) სახელწოდების შეცვლისა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის წყალტუბო არენას (ს/კ 421268041) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 17 სექტემბრის №31 3201 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ა(ა)იპ „წყალტუბო არენა"-ს დირექტორის 2022 წლის 4 აპრილის №17 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბო არენას 2022 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 13 იანვრის №48.48220131 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი 1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (გ. ყურაშვილი).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბასანჩიკაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი